1 თებერვალი

შაბათი

2025

რიგითი ჟამის III კვირა [III], მწ

(19.I) წმ. ღირსი ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი, VIს

ებრ 11,1-2.8-19; საგ. ლკ 1,68-75; მარ 4,35-41

უთხრა ზღვას: დადუმდი, ჩადექ! მარ 4,39

იესო, ჩემი გული ზღვას ჩამოჰგავს: ზოგჯერ ტალღები ისე აზვირთდებიან და ბობოქრობენ, რომ ვერ ვუმკლავდები. გამაგონე შენი ხმა იმ წუთებში, ხმა ჩემი შემოქმედისა და მამისა, ჩემი მხსნელისა და უფლისა. ჩემს გამოც კიდევ ერთხელ გაიმეორე: დადუმდი, ჩადექ! გმადლობთ, იესო!

2 თებერვალი

კვირა

2025

უფლის ტაძრად წარდგენა
(მირქმა), დ, [ს], თ

მალ 3,1-4; ფს 23; ებრ 2,14-18; ლკ 2,22-40

ბერ–მონაზონთა დღე

ახლა კი ღამიშვი, ბატონო,
შენი მონა მშვიდობით ლკ 2,29

ეს მნიშვნელოვანი წუთებია მარიამისა და იოსების ცხოვრებაში. მათ ტაძრად მიიყვანეს იესო, ღმერთისთვის მისაძღვნელად. იქ დახვდათ სიმეონი, ვისაც ღმერთმა აღუთქვა, რომ არ მოკვდებოდა ვიდრე თავის მესიას არ იხილავდა. ყრმა იესოსთან მიიყვანს სიმეონს სულიწმიდა, ის ხელში აიყვანს მას, აკურთხებს მაღალ ღმერთს და ყრმას „ხალხის სინათლედ“ აცხადებს; ამიტომაც, მოგვაქვს დღეს ანთებული სანთლები.

3 თებერვალი

რიგითი ჟამის IV კვირა [IV] მწ

ორშაბათი
2025

წმ. ბლაზი, სებასტეს ეპისკოპოსი, წამებული +~316ს.;
წმ. ანსგარი (ოსკარი), ჰამბურგის ეპისკოპოსი +865.

ებრ 11,32-40; ფს 30; მარ 5,1-20

უთხარი მათ, რა ქიქო ღმერთმა მარ 5,19

ზოგჯერ ვერავისთვის გაგვიმხელია ცხოვრებაში განცდილი უფლის სიყვარულის ნიშნები ან სულაც გულის რომელიმე კუნჭულში გვაქვს მივიწყებული... ეს ის მარცვლებია, რასაც დათესვის შემდეგ, კვლავაც შეუძლია ახალი სინათლის, სიხარულის, სიმშვიდის ნაყოფის გამოღება, ჩვენში და ჩვენს ირგვლივ.

4 თებერვალი

სამშაბათი
2025

ებრ 12,1-4; ფს 21; მარ 5,21-43

მათ დიდად ეაუკვირდათ მარ 5,42

მათ იხილეს, რომ იესომ ხელში აიღო
მკვდარი გოგონას ხელი და უთხრა: „ადექი!“,
მანაც გაუგონა. მექსიკაში, გვადალუპეს ტაძ-
რის სანაწილეში, წლების წინ, ორი საათის
მანძილზე ცოცხალი გულივით ფეთქავდა
ჰოსტია, კიდევ ერთი „დიდი საკვირველება“!
გმადლობთ, იესო, შენს მიერ
ბოძებული ნიშნებისთვის!

5 თებერვალი

ოთხშაბათი

2025

წმ. აგათა, ქალწული და წამებული,
+251 კატანიაში (იტალია), (მ), წ

ებრ 12,4-7.11-15; ფს 102; მარ 6,1-6

ეაფრთხილდით, რომ არავინ წაგართვათ ღვთის მადლი

ებრ 12,15

ვერავინ მოგვაკლებს ღმრთის მადლს: მისი სიყვარული მზის შუქივით გვეკვრის. ვიფხიზლებთ, რათა ჩვენი გულის „საკეტები“ ყოველთვის ღია იყოს. ვერანაირი სიტყვა ვერ დაიკავებს ღმერთის სიტყვის ადგილს ჩვენში! ვიფხიზლებთ!

6 თებერვალი

ხუთშაბათი

2025

წმმ. პავლე მიკი და მეგობარნი, წამებულნი,
+1597 ნაგასაკიში (იაპონია), (მ), წ

ებრ 12,18-19.21-24; ფს 47; მარ 6,7-13

მისცა მათ ხელმწიფება არაწმიდა სულებზე მარ 6,7

ერთ მეგობარს ვიდეო თამაშები იტაცებდა. სულ მალე მიხვდა, რომ მასზე იყო დამოკიდებული, ამიტომაც, გადაწყვიტა მხოლოდ ნახევარი საათი ეთამაშა შუადღით და საღამოს. ერთი სული ჰქონდა მალე დამდგარიყო ეს დრო: უკვე ვეღარ ძლებდა მის გარეშე. რცხვენოდა, მაგრამ თავს ვერ ერეოდა. მაშინ, დამოუკიდებლად დაიწყო ლოცვა თავის უძლურებაზე, თუმცა უშედეგოდ. მხოლოდ მაშინ გათავისუფლდა მისგან, როცა თავი დაიმდაბლა და მღვდლისგან კურთხევა გამოითხოვა.

7 თებერვალი

პარასკევი

2025

ებრ 13,1-8; ფს 26; მარ 6,14-29

არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ ებრ 13,5

ღმერთი გვაიმედებს იმით, რასაც ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი გვიმეორებს, რომ გაგვამხნეოს გასაჭირში მყოფთა მიმართ გულუხვობაში, სტუმართმოყვარეობაში, გულისხმიერებაში. ეს დაპირება ჩვენს ხელებს და ჩვენს გულს ათავისუფლებს მომავალზე ეგოისტური და სულშემხუთავი ზრუნვისგან და დღევანდელი დღის სიყვარულში შევყავართ. რამხელა სიმშვიდე, თავისუფლება და სილამაზეა!

8 თებერვალი

შაბათი

2025

რიგითი ჟამის IV კვირა [IV] მწ

(26.I) წმ. დავით აღმაშენებელი, XI-XIIსს; წმ. იერონიმე ემილიანი, +1537 სომასკაში (იტალია); / წმ. იოსებინა ბახიტა, ქალწული, სუდანელი მონა, შემდგომ მონაზონი +1947 სკიოში (იტალია).

ებრ 13,15-17.20-21; ფს 22; მარ 6,30-34

წამოდით უდაბურ ადგილას

მარ 6,31

რარიგ კეთილი ხარ, უფალო იესო, შენი მოწაფეების მიმართ, ვინც შენთან ერთად იღვწის! შენ ხედავ მათ გარჯილობას და დაღლას, ისწრაფვი მათ შეწევნად, გასაძლიერებლად, შენთან ერთად განსასვენებლად. გმადლობთ სიახლოვის იმ ძლიერი წუთებისთვის, რასაც ჩვენთვისაც გამოყოფ.

9 თებერვალი

კვირა

2025

რიგითი V კვირადღე, «გ», [I], მწ

ეს 6,1-2.3-8; ფს 137; 1კორ 15,1-11; Lc 5,1-11

დიაკ. ანტონ ხითაროვის გახსენება (+2022)

მიატოვეს ყველაფერი და აჰყვნენ მას ლკ 5,11

ასე იქცეოდნენ იესოს მოწაფენი, რომლებიც მოციქულებად იქნენ არჩეულნი: იხილეს სასწაული, სასწაულებრივი თევზაობა... ჩვენც ვნახეთ სასწაული: ჩვენდამი მისი სიყვარული, ჯვრამდე სიკვდილამდე, ჩვენს გადასარჩენად. ამიტომაც, სიხარულით ვტოვებთ ყველაფერს – ჩვენს იდეებს, ჩვენს ანგარებას, ჩვენს მოტივაციებს, რამაც შეიძლება გული დაგვიხშობს მის მოწოდებაზე – და მივყვებით მას, მხოლოდ მისით ვართ კმაყოფილნი. გმადლობთ, იესო!

10 თებერვალი

ორშაბათი

2025

რიგითი ჟამის V კვირა [I]

წმ. სქოლასტიკა, ქალწული, მონაზონი, წმ. ბენედიქტეს და +~547 მონტეკასინოში (იტალია), (მ), თ

დაბ 1,1-19; ფს 103; მარ 6,53-56

თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! დაბ 1,3

ბიბლიის პირველ გვერდს ვშლით და ვკითხულობთ, რომ ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. ყველაფერი უფორმო და ბნელით იყო მოცული. განაგრძო რა სამყაროს შექმნა, ღმერთმა თქვა: „იყოს ნათელი“. ნათლით დაიწყო შეცნობა ყოველი სილამაზის და საზრისის: მთების, მცენარეების, ყვავილების, ცხოველების, ცის, ვარსკვლავების... გმადლობთ, მამაო, რომ შეგვქმენი სამყაროში, ჩვენს საერთო სახლში და კვლავაც ეხმარები მას, ჩვენი პასუხისმგებლობის გზით!

11 თებერვალი

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის V კვირა [I], მწ

(29.I) წმ. ამოტ დიდი კურაპალატი, წამებული, +826;
ლურდის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება) 1858

დაბ 1,20 - 2,4; ფს 8; მარ 7,1-13

სნეულთა დღე

ოსტატურად აუქმებთ ღვთის მცნებას მარ 7,9

იესო იუდეველ მღვდელმთავრებს ესაუბრება, ჩვენც ასევე ვთვალთმაქცობთ, როცა ღმერთის სიტყვას გვერდს ვუვლით და ვუხვევთ, ოღონდ კი ჩვენს გემოზე ვიცხოვროთ, ჩვენი ანგარებები და გატაცებები დავიცვათ. ნამდვილი ეშმაკობა კი ჭეშმარიტი სიკეთის არჩევაა, ანუ იმისა, რაც უფლის თვალში მოსაწონია. მან ჩემზე მეტი იცის: ამიტომაც დავყვები მის სიყვარულს.

12 თებერვალი

ოთხშაბათი

2025

დაბ 2,4-9.15-17; ფს 103; მარ 7,14-23

მისმინეთ ყველამ მარ 7,14

იესომ მოკლე იგავი მოჰყვა იმის ასახსნელად, რომ არცერთი საკვები არ ბილწავს კაცს, ანუ ღმერთთან მიახლოების უნარს არ ართმევს. პირიქით, გულიდან გამომავალი ბოროტი ზრახვები აშორებს ადამიანს მისგან. ასე გამოაცხადა იესომ ყველა საკვები სუფთად. ასე შეძლებენ ებრაელი ხალხიდან და წარმართებიდან წამოსული მორწმუნეები ერთად მიახლებას უფლის სუფრაზე, თავიანთ ძმობაში დაეჭვების გარეშე.

13 თებერვალი

ხუთშაბათი

2025

დაბ 2,18-25; ფს 127; მარ 7,24-30

მიეკიდა და დაემხო მის ფერხთით მარ 7,25

როდესაც გულში სიყვარული, თავმდაბლობა და რწმენა სუფევს, ყველა დაბრკოლება გადაილახება. მხოლოდ იესოს შეეძლო გაეძევებინა ეშმაკი ქანაანელი დედაკაცის ასულიდან. ასე იტყვის თავის თავზე იესოს წინაშე: „ძაღლებიც ხომ ჭამენ ტაბლის ქვეშ შვილების ნასუფრალს" . ამ სიტყვებით თავისი მდაბალი რწმენა აჩვენა, და იესომ შეისმინა მისი.

14 თებერვალი

პარასკევი
2025

წმ. კირილე, ბერი +869 რომში და ძმა მისი
წმ. მეთოდი, მორავიის ეპისკოპოსი +895
ევროპის მფარველნი, დ, [ს] თ

საქმ 13,46-49; ფს 116; ლკ 10,1-9

არაფინ მოიკითხოთ გზაში ლკ 10,4

იესოსაგან წარგზავნილ სამოცდათორმეტს
გადაუდებელი მისია დაეკისრა: ორ-ორად
მიავლინა ყველა ქალაქსა და ადგილზე,
სადაც თავად აპირებდა იესო წასვლას. დრო
არ უნდა დაკარგულიყო მეტ-ნაკლებად
უსარგებლო წესებზე ...
წმ. კირილე და წმ. მეთოდე, დაუცხრომელო
მუშაკნო და ჩვენო მფარველნო, მოგვანიჭეთ
თქვენმიერი სიბეჯითე ღვთის სასუფევლის
სამსახურში და იესოს უწყებაში.

15 თებერვალი

შაბათი

2025

დაბ 3,9-24; ფს 89; მარ 8,1-10

მეცოდება ეს ხალხი მარ 8,2

იესო, შენ მამობრივი და დედობრივი სიყვა-
რულით ხედავ ჩვენს რეალობას. როგორც
ოდესღაც ზრუნავდი იმ ბრბოზე, რომელიც
დღეების მანძილზე უკან მოგყვებოდა შენი
სიტყვის მოსასმენად, დღესაც მზად ხარ
იზრუნო მათ საჭიროებებზე, ვინც შეგიყვარა.
მრავალგზის ეჩვენე მათ კეთილ მწყემსად.
მადლობა თანაგრძნობისთვის.

16 თებერვალი

კვირა

2025

რიგითი VI კვირადღე, «B», [II], მწ

იერ 17,5-8; ფს 1; 1კორ 15,12.16-20; ლკ 6,17.20-26

ნეტარნი ხართ, ღარიბნი,
ვინაიდან თქვენია ღვთის სასუფეველი ლკ 6,20

გმადლობ, იესო, რამეთუ იმდენად შემიძლია მოგენდო შენ და ზეციერ მამას, ვინც გამაცანი, რომ საკუთარ თავზე აღარ ვიფიქრო. მე შემიძლია შენ მოგანდო ჩემი მატერიალური და სულიერი საჭიროებები, ჩემი ჯანმრთელობა და ჩემი უნარები, და ამ გზით მთელი არსებით და სიხარულით ჩავდგე შენი სასუფევლის მსახურებაში.

17 თებერვალი

ორშაბათი
2025

რიგითი ჟამის VI კვირა [II], მწ

(4.II) წმ. ღირსი ევაგრე მღვიმელი VIს, მონაზონი; ნ. ქ. მარიამის მსახურთა ორდენის 7 დამფუძ-ნებელი

დაბ 4,1-15.25; ფს 49; მარ 8,11-13

მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)

ამ მოდგმას ნიშანი არ მიეცემა მარ 8,12

როცა მამას შვილობრივი, მადლიერი და სანდო გულით მივმართავთ, მზად ვართ მისი საყოველთაო სიყვარულის გასავრცელებ-ლად, და მაშინ ყოველივე მის სიყვარულზე ილაპარაკებს: მზე და წვიმა, ყვავილები და მთები, მეუღლის მიერ მორთმეული დილის ყავა, ღამით ბავშვის დაძახება, თავისდა უნებურად მოწუწუნე ბებია ... ჩვენ კი მთელი გულით განვადიდებთ მას!

18 თებერვალი

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის VI კვირა [II], მწ

დაბ 6,5-8; 7,1-5.10; ფს 28; მარ 8,14-21

ეაკვთა ნოემ ჟოგელიგე,
რაცა უბრძანა მას უფალმა დაბ 7,5

ნოე სხვებივით არ მოქცეულა. მისი სამართლიანობა, – ანუ ღმერთისკენ მისი შემობრუნება, როგორც თავს შემოქმედზე მინდობილი და მისი დამყოლი ქმნილების – ის არხი იყო, რომელიც ღმერთის მოწყალებას ატარებდა და ცოდვის დამღუპველ შედეგებს ახშობდა. ასე განიწმინდა და გადარჩა სიცოცხლე დედამიწაზე.

19 თებერვალი

ოთხშაბათი

2025

რიგითი ჟამის VI კვირა [II], მწ

(ნ.II) წმ. ღირსი არსენ იყალთოელი +1127, მონაზონი

დაბ 8,6-13.20-22; ფს 115; მარ 8,22-26

ჩაჭკიდა ბრმას ხელი, გაიყვანა იგი სოფლიდან მარ 8,23

ბრმა ენდობა იესოს, ნებას რთავს ბნელშიც
გაყვეს, სადაც იესომ ისურვა და დაიბრუნა
თვალის ჩინი. იესო, შენც გინდა გამიყვანო
სოფლიდან ანუ ჩემი ბნელი რეალობიდან:
იცდი, სანამ ხელს არ გამოგიწვდი, რათა
ჩამჭიდო. მზე გაბრწყინდება!

დაბ 9,1-13; ფს 101; მარ 8,27-33

მომცილდი, სატანავ! ღმთისას რომ არ ფიქრობ, არამედ ადამიანისას მარ 8,33

პეტრემ სიმართლე უთხრა იესოს: „შენა ხარ ქრისტე“. თუმცა იგი ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ ქრისტეს უნდა ეტანჯა. პეტრე თავისი ადამიანური აზრებითა და ზრახვებით მისდევდა მას და არა ზეციერი მამის მიხედვით, ვინც ჯვარზე სწირავს თავის ძეს ადამიანთა გადასარჩენად. მამას სჯერა, რომ დედამიწას ვეღარ განაახლებს წარღვნა, არამედ იესოს სისხლი, მისი სიკვდილი და აღდგომა. ეს არის ნამდვილი, მარადიული ცისარტყელა.

21 თებერვალი

პარასკევი

2025

რიგითი ჟამის VI კვირა [II], მწ

წმ. პეტრე დამიანი, ოსტიის კარდინალ-ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი +1072

დაბ 11,1-9; ფს 32; მარ 8,34-9,1

ვინცა რემი ტულისთვის დაღუპავს სულს... მარ 8,35

შენი სიტყვა მიცავს, იესო. მსურს სიცოცხლე მოგიძღვნა, რათა ემსახუროს სიყვარულისა და მშვიდობის შენს სამეფოს. გმადლობთ იმ წუთებისთვის, როცა შენი სიყვარულის გამო ჩემი არჩევანი უარვყავი და შენ მიჩვენე უკეთესი და შედეგიანი გამოსავალი შენი სამეფოსთვის. შემეწიე, სულო წმიდაო, რათა მთელი გულით შევიყვარო იესო!

22 თებერვალი

შაბათი

2025

წმ. პეტრე მოციქულის საყდარი, დ, [ს], თ

1პეტ 5,1-4; ფს 22; მთ 16,13-19

შენ ეს გამოგიცხადა არა ხორცმა და სისხლმა... მთ 16,17

იესოს შეცნობა ადამიანის უნარის, ძალისხმევის ან მისი დამსახურების შედეგი როდია. ეს მადლი ზეციერი მამისაგან გვებოძა, ვისაც ყველა თანაბარი სიყვარულით უყვარს და მზადაა ეჩვენოს მას, ვინც მას მდაბალი გულით ეძებს. დღეს ჩვენ, ეკლესიის შვილნი, მადლს ვწირავთ და ვლოცულობთ რომის პაპისთვის, ჩვენი პირველი კატეხისტის და მოძღვრისთვის. მისია, რომელსაც იგი ასრულებს, უფლის სიღრმისეულ შეცნობაში დაგვეხმარება.

23 თებერვალი

რიგითი VII კვირადღე, «გ», [III], მწ

კვირა 2025

[წმ. პოლიკარპე, სმირნის ეპისკოპოსი და წამებული, +155

(10.II) წმ. ღირსი იოანე ჭიმჭიმელი VIს, მთარგმნელი]

1მეფ 26,2.7-9.12-13.22-23; ფს 102; 1კორ 15,45-49; ლკ 6,27-38

მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება (+1938)

ყველას, ვინც ითხოვს, მიეცი ლკ 6,30

ამ სიტყვით მიამიტობისკენ როდი მოგვიწოდებს. თუკი თაღლითს ვაძლევ, ამით თაღლითობას ვახალისებ და ნამდვილ ღარიბებს, ბევრ ადამიანს, შემწეობას ვაკლებ. დიახ, გული და ხელი ყოველთვის გავხსნათ, მაგრამ მათ სულიწმინდის სიბრძნე და წინდახედულება უნდა მართავდეს. სიკეთის კეთება აღზრდასაც ნიშნავს და აღზრდა ზოგჯერ უარის თქმასაც ითხოვს. ამიტომაც მართავს ეკლესია ჩემს ქველ საქმეებს მათი მეშვეობით, ვინც „კარიტასში“ მოღვაწეობს.

ზირ 1,1-10; ფს 92; მარ 9,14-29

ღვთის სიტყვაა სიბრძნის წყარო. ზირ 1,5

ღვთის სიტყვა! კრძალვით მიღებული ჩვენი მწყემსების ბაგეებიდან საკვირაო წირვაზე – და შეძლებისამებრ, ყოველდღიურად, პირადად ლოცვებში განაზრებული – ჩვენ, უფლის საყვარელ შვილებს, ჭეშმარიტი სიბრძნით აგვავსებს. ასე შევძლებთ ჩვენც დროდადრო მივუძღვნათ იგი ჩვენს და-ძმებს.

(12.II) წმ. ღირსი პროხორე, იერუსალემის ჯვრის მონასტრის ამშენებელი, XIს

ზირ 2,1-11; ფს 36; მარ 9,30-37

ვინცა მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს რემი სახელით, ის მე მიმიღებს მარ 9,37

იესო მოწაფეებთან ერთად დაადგა გზას იერუსალიმისკენ. მას მერე, რაც დედაქალაქში ჩავიდნენ, მოძღვრისაგან შეგულიანებულნი, სხვადასხვა მსახურებებზე იწყებენ ფიქრს. აქ უკვე იესო მოქმედებს, რადგანაც მისი გეგმები სულ სხვაა. მისი სამეფო გულისხმობს მსახურებას და არა მბრძანებლობას.

26 თებერვალი

ოთხშაბათი
2025

ზირ 4,11-19; ფს 118; მარ 9,38-40

სიბრძნის მაძიებელნი სიხარულით აღიავსებიან ზირ 4,12

წმინდა წერილში სიბრძნე თან ახლავს ღმრთის მოშიშებას, ანუ მის მიმართ ძლიერ და ნაზ სიყვარულს, იმის შიშით, რომ ოდ-ნავადაც არ დაამწუხროს იგი. ვისაც წინ მიუძღვის ეს სიბრძნე და წმინდა მოშიშება, შეიცნობს სიხარულს, ჭეშმარიტ სიხარულს და უშურველად გასცემს მას.

27 თებერვალი

ხუთშაბათი

2025

რიგითი ჟამის VII კვირა [III], მწ

წმ. გრიგოლ ნარეკელი,
აბატი და ეკლესიის მოძღვარი + 1005

ზირ 5,1-8; ფს 1; მარ 9,41-50

თუ მარილი უმარილო- ქცევდება,
რიოათი შეანელებთ მას? მარ 9,50

გმადლობთ, იესო: შენი სიტყვები, რასაც მოგ-
ვმადლი, ცხოვრებას აზრს და გემოს მატებენ;
შეგვეწიე, რათა შენმიერი გულით მივიღოთ
ისინი და კეთილი ნაყოფი გამოვიღოთ. არ
დაუშვა, რომ ჩვენი ცხოვრება იმ მარილს
ემსგავსოს, რომელსაც გემოს დაკარგვის
შემდეგ ქუჩაში ყრიან და უვარგისობის გამო
თელავენ.

28 თებერვალი

პარასკევი
2025

ზირ 6,5-17; ფს 118; მარ 10,1-12

უფლის მოშიშმა იცის მეგობრის არჩევა ზირ 6,17

მეგობრებს ძლიერი ზეგავლენა აქვთ: შეიძლება დაგვეხმარონ ან შეიძლება გვაზარალონ. ნამდვილი მეგობრები გვეხმარებიან საღი, გონივრული არჩევანის მიღებაში და არა მხოლოდ გართობაში. ნამდვილი მეგობრები გვეხმარებიან, რომ მოვიპოვოთ აწმყო ცხოვრებაც და მარადიული ცხოვრებაც. მეგობრებთან ერთად მივაბიჯებთ სიცოცხლის გზაზე და ერთმანეთს ვექომაგებით.